სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები 2050 წლისთვის

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.07

დიმიტრი ხუნდაძე
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო
პროგრამის დოქტორანტი
dkhundadze@parliament.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4277-5562

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების დემოგრაფიული მონაცემები ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე და მოსალოდნელი შედეგები 2050 წლისთვის. მოცემულია ისტორიული ფაქტები და პოლიტიკური ანალიზი რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ დისბალანსთან დაკავშირებით.

კავკასიის რეგიონი, თავისი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ცივილიზაციური იდენტობით, გლობალურ პოლიტიკაში არსებით ადგილს იკავებს. რეგიონის სამომავლო პოლიტიკური ლანდშაფტი მჭიდრო კავშირშია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული ტენდენციების განვითარებასთან. ნებისმიერი შემადგენელი ეროვნული ერთეულის გაქრობა ან მნიშვნელოვანი შესუსტება რადიკალურად შეცვლის კავკასიის პოლიტიკურ დინამიკას, ვინაიდან რეგიონის სტაბილურობა და მისი ცივილიზაციური უნიკალურობა სწორედ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, დემოგრაფიული პოლიტიკა გადამწყვეტ როლს შეასრულებს რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა და შიდა ბალანსის განსაზღვრაში. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კვლევები გვიჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი.

სწორედ ამ მიზნით მომზადდა კონკრეტული სამეცნიერო ნაშრომი, სადაც განხილულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების დინამიკა მოცემულია ექსპერტთა კვლევებზე გაკეთებული მოსალოდნელი შედეგები 2050 წლისთვის.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, დემოგრაფიული პოლიტიკა, სამხრეთ კავკასია, დემოგრაფიული ბალანსი, გლობალური პოლიტიკა.

Demographic Policy and Expected Results of the South Caucasus Countries by 2050

Dimitri Khundadze
Caucasus International University
Faculty of Social Sciences
PhD Student
dkhundadze@parliament.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4277-5562

Abstract

The paper presents demographic data on the development of the population of the South Caucasus countries over the last century, and the expected results by 2050. It reveals the historical facts and political analysis of the demographic imbalance in the region. The Caucasus region, with its distinctive civilizational identity characterized by its ethnic and religious diversity, occupies a significant place in global politics. The future political landscape of the region is closely linked to the development of demographic trends in the South Caucasus countries. The disappearance or significant weakening of any constituent national entity will radically change the political dynamics of the Caucasus, since the stability of the region and its civilizational uniqueness depend on the preservation of this diversity. Accordingly, demographic policy will play a crucial role in determining the geopolitical importance and internal balance of the region. Both local and international studies show that the historically established demographic balance in the South Caucasus has been disrupted.

Thus, the purpose of the paper is to show the dynamics of population development in the countries of the South Caucasus and to provide the expected results of expert research for the year 2050.

Keywords: Demography, Demographic Policy, South Caucasus, Demographic Balance, Global politics.

დემოგრაფია, როგორც მეცნიერება, რომელიც მოსახლეობის განვითარების დინამიკას შეისწავლის, მე-20 საუკუნის ბოლოს მეცნიერებათა მეცნიერებად აღიარეს, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მას ,,პოლიტიკების პოლიტიკა'' უწოდა.

დემოგრაფია შეისწავლის მოსახლეობის განვითარებას თითქმის ყველა მიმართულებით: სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის, განათლების, თაობათა

ურთიერთობის, ერის დაბერების, მიგრაციის, ახალგაზრდული პოლიტიკის თუ რეგიონული განვითარების კუთხით. დემოგრაფიული პოლიტიკა მოიცავს ქვეყნის განვითარების თითქმის ყველა სფეროს, აქედან გამომდინარე, ქვეყნების პოლიტიკური განვითარების პერსპექტივა მეტწილად დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარებაზეა დამოკიდებული.

კავკასია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ოდითგანვე მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ, უძველესი ეთნოსების და რელიგიური კულტურით ნაზავი ცივილიზაციით. ცივილიზაციას ხალხი ქმნის და არსებობს მანამ, სანამ ეს კონკრეტული ეთნოსი იარსებებს. ცივილიზაციის გაქრობა პირდაპირ კავშირშია მოასახლეობის ფიზიკურ წყვეტასთან.

სწორედ ფიზიკური წყვეტის საფრთხის ქვეშ დგას დღეს საქართველოს მოსახლეობა, სამხრეთ და ამიერკავკასიის რეგიონული პოლიტიკის ჯერ კიდევ დომინანტი სახელმწიფო. ფიზიკური წყვეტა ელის არა სრულიად საქართველოს მოსახლეობას, არამედ, ამ მოსახლეობაში შემავალ ქართულ ეთნოსს. ამის შესახებ, გაეროს მოსახლეობის ფონდი 2010 წელს გაკეთებულ კვლევაში მიუთითებს. თითქმის ყველა მეცნიერის, ქართველი თუ უცხოელი დემოგრაფების მიერ გაკეთებული ანალიზით, სამხრეთ კავკასიაში 2050 წლისთვის ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი.

წიგნში „დემოლოგია“ (მეცნიერი ამ ტერმინს იყენებს „დემოგრაფიის“ ნაცვლად), ყურადღებას ამახვილებს დემოლოგიური პროცესების ზეგავლენაზე მთლიანად სამყაროს განვითარების პროცესებში - „დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ საზოგადოებისა და ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს დემოლოგიური პროცესები. ეს ასე იყო წარსულშიც. დღეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დემოლოგიური მახასიათებლების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების მონიტორინგსა და ანლიზს“ .

კავკასია ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-კულტურული რეგიონია. იგი შავ და კასპიის ზღვებს შორის, ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. კავკასიას ორ ნაწილად - ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად ჰყოფს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი. ტერმინი „კავკასია“ პირველად ჩვ.წ.აღ-მდე, მე-6 საუკუნეში, იხმარა ძველმა ბერძენმა დრამატურგმა - ესქილემ თავის ტრაგედიაში: „მიჯაჭვული პრომეთე“.

ვაჟა ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ რეგიონი ყოველთვის იყო მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ მის მიმართ ყურადღება და ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათწლეულებში. დღეს კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთ „ცხელ წერტილად“ იქცა და აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანარჩენი მსოფლიოსთვის. კავკასია ევრაზიული კონტინენტის

შემადგენელი ნაწილია, უფრო მეტიც, ის ევრაზიული მატერიკის ცენტრალური ნაწილია. ამიტომ, ამ კონტინენტის, ევრაზიული კონტინენტის ურთულესი და სპეციფიკური ცივილიზაციური სტრუქტურა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კავკასიის გარეშე“[117]

სამხრეთ კავკასიაში ისტორიულად სამი ეთნოსი ცხოვრობდა - ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებმა ხალხებმა შეძლეს შეექმნათ დიდი ცივილიზაცია, სახელმწიფოებრიობა და ეროვნული დამწერლობა. მსოფლიოში ცნობილი 14 დამწერლობიდან ორი სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა - ქართული და სომხური.

როგორი იყო და არის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული ბალანსი? ამ საკითხზე სიღრმისეული კვლევები აქვს ცნობილ დემოგრაფს ანზორ თოთაძეს. მეცნიერი მიიჩნევს, რომ კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა მე-20 საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უმძიმესი პირობებისა, საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, 1926-2010 წლებში 7 617 ათასიდან 23 437 ათასამდე და ზრდის ტემპმა 307,7% შეადგინა. მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო ჩრდილო კავკასიაში. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა საქართველოს ხარჯზე. თუ ისტორიულად სამხრეთ და, საერთოდ, კავკასიაში საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგში ვითარება არსებითად შეიცვალა.

კავკასიის მოსახლეობის ზრდის დინამიკა (1926-2010)

მაჩვენებელი	**1926 წელი**	**2010 წელი**	**ზრდის ტემპი (%)**
კავკასიის მოსახლეობა	7,617 ათასი	23,437 ათასი	307.7%

დემოგრაფი თავის ისტორიულ მიმოხილვაში ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს - 1926 წელს კავკასიაში ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა, ხოლო 2010 წელს კი კავკასიაში მცხოვრები ყოველი მეექვსე ცხოვრობს საქართველოში.[118] ანზორ თოთაძის კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის წილი სულ უფრო მცირდება სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში. მაგალითად, 1926 წელს

[117] (ლორთქიფანიძე ვ. დემოლოგია, თბილისი 2018, გვ.209).

[118] (თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013, გვ.10-11)

საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5% შეადგენდა, აზერბაიჯანისა 39,5%-ს, ხოლო სომხეთისა - 15,0%-ს (აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას), ხოლო 2009 წელს საქართველოს მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ 26,5 პროცენტს შეადგენდა, სომხეთისა 19,6 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანისა - 53,9 პროცენტს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის წილი (საერთო მოსახლეობაში)

ქვეყანა	1926 წელი	2009 წელი
საქართველო	45.5%	26.5%
აზერბაიჯანი	39.5%	53.9%
სომხეთი	15.0%	19.6%

დემოგრაფი ანზორ თოთაძე წერს: - „საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია. სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები კარგავენ ადრინდელ მიმზიდველობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ბევრია და ამდენად, საკუთარი ინტერესების დაცვა - გაძნელებული“[119]. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიულ განვითარებაზე სიღრმისეული კვლევები აქვს შორენა წიკლაურს. იგი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში, ყველა წყაროს მიხედვით, მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება. მისი კვლევების მიხედვით, მოსახლეობის კლება გარკვეულწილად ბუნებრივ მატებას უკავშირდება, თუმცა, მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს გარე მიგრაცია ასრულებს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა და რეგიონში წარმოქმნილმა სამხედრო კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარებაზე.

[119] (თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013, გვ.16);

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიულ დინამიკა შემდეგნაირია: პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩატარდა 1897 წელს და მისი შედეგების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2.1 მილიონს, სომხეთის - 0.8 მილიონს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 1.7 მილიონს. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მომდევნო აღწერები ჩატარდა 1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღწერა საქართველოში ჩატარდა 2002 და 2014 წლებში, სოხეთში - 2001 და 2011 წლებში და აზერბაიჯანში - 1999 და 2009 წლებში.[120]

როგორც ვიცით, 1922-1991 წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რამაც იმოქმედა მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ პერიოდში სამივე ქვეყანა განიცდიდა სერიოზულ დემოგრაფიულ ზრდას. როგორც მთლიანად კავკასიაში, ასევე საქართველოში შობადობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საგრძნობლად გაიზარდა. შობადობის ბუმი კი 1960-1969 წლებში იყო. შემდეგ, 1990-იან წლებში სამივე ქვეყანა გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე რეგიონში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურმა ვითარებამ, ასევე ეთნიკურმა და რეგიონულმა კონფლიქტებმა, უარყოფითი გავლენა იქონია როგორც რეგიონის ზოგად განვითარებაზე, ისე მის დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის იძულებითი გადაადგილება.

დემოგრაფიულ პრობლემებს შორის ყველაზე ნეგატიურ გავლენას მოსახლეობის რაოდენობაზე გარე მიგრაცია ახდენს. მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტატისტიკური ინფორმაცია გარე მიგრაციის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მასში შემავალი ყველა სახელმწიფოსთვის და მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვისაც მიგრაცია განიხილებოდა როგორც ერთ კავშირში შემავალი ქვეყნების რესპუბლიკათაშორისი მიგრაცია და არა საერთაშორისო (გარე) მიგრაცია. მიგრაცია ძირითადად დაკავშირებული იყო ეკონომიკურ ან პირად საკითხებთან.

1990-იან წლებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სოციალურ–ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია როგორც შრომითი მიგრანტების, ისე ეთნიკური უმცირესობების გადინება ახლად შექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნებიდან. ამ პერიოდში, გარე მიგრაციული ნაკადების რეგისტრაცია მკვეთრად გაუარესდა.[121]

---

[120] წყარო: UN World Population Prospects: The 2012 Revision

[121] (წულაძე, 2005, გვ. 9); (Duthé, Badurashvili, Kuyumiyan, Meslé, & Vallin, 2010, p. 5).

გაეროს ექსპერტების მიერ შეფასებული მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობა 1950-2010 წლებში ინარჩუნებდა სტაბილურობას და არ გამოირჩეოდა დიდი გარე მიგრაციული ნაკადებით, სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. 1990-იანი წლებიდან, საქართველოსა და სომხეთში გარე მიგრაციული სალდო უარყოფითია, ანუ ქვეყნიდან გადის უფრო მეტი ვიდრე შემოდის.

შორენა წიკლაურის კვლევევბის მიხედვით, 1950-1990 წლებში, საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში ძირითად კომპონენტს ბუნებრივი მატება წარმოადგენს, ხოლო გარე მიგრაციის როლი უმნიშვნელოა. შემდეგ პერიოდში, ემიგრაციული ნაკადების ზრდას მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის კლება. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი პერიოდის განმავლობაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მცირდებოდა და პერიოდის ბოლოსათვის ძალიან დაბალ ნიშნულს მიუახლოვდა.

სომხეთის მოსახლეობის ფორმირებაშიც 1990-იანი წლების დასაწყისამდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბუნებრივი მატება, ამასთან გარე მიგრაციის სალდოც დადებითია, ხოლო 1990-იანი წლების შუა პერიოდში გაზრდილ ემიგრაციულ ნაკადებს მოჰყვა მოსახლეობის შემცირება.

მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი სომხეთსა და აზერბაიჯანში იკლებს, თუმცა პერიოდის ბოლოსათვის კვლავ ინარჩუნებს დადებით მნიშვნელობას. აზერბაიჯანის მოსახლეობის ფორმირებაში მოსახლეობის მატების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ბუნებრივი მატება.[122]

მეცნიერები მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის მიხედვით გამოყოფენ სამ ტიპს: **პროგრესული,** რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებელი; **სტაციონარული,** როდესაც ბუნებრივი მატება ძალიან უმნიშვნელოა ან უცვლელ დონეზე იმყოფება; **რეგრესული,** რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანაში იმატა მოსახლეობის რაოდენობამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირში, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებშიც, იკლო 25-34 წლის ასაკის პირთა წილმა მთელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით შემცირდა 5 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი, ხოლო საშუალო ასაკის პირთა წილი გაიზარდა.

შორენა წიკლაური საყოველთაო აღწერების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ 1989 წელს, საქართველოს მოსახლეობის პირამიდას სტაციონალური სახე აქვს, ბუნებრივი მატება ძალიან დაბალ დონეზეა. სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობაშიც

[122] (წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, გვ. 90,91).

შეინიშნება ბუნებრივი მატების კლება, თუმცა მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას საქართველოსაგან განსხვავებით არ აქვს გამოხატული „სტაციონალური“ სახე.

საქართველოში, ბოლო პერიოდში ჩატარებულმა აღწერებმა აჩვენეს, რომ 1989 წელთან შედარებით შემცირებულია 0-4 წლის ასაკის და გაზრდილია 60 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი. მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას 2002 წელს უფრო „რეგრესული“ სახე აქვს, რაც გამოწვეულია შობადობის დონის შემცირებით. სომხეთშიც, ბოლო აღწერებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას უფრო „რეგრესული“ სახე აქვს, რაც გამოწვეულია შობადობის დონის შემცირებით, აგრეთვე გაზრდილია უფროსი ასაკის პირთა წილი. აზერბაიჯანში, ბოლო აღწერების მონაცემებით, შობადობის დონე მცირდება, თუმცა ახალგაზრდა პირთა წილი კვლავ ჭარბობს მთელს მოსახლეობაში.[123]

დემოგრაფიული პრობლემების ჩამონათვალში ერთ-ერთ მსხვილ პრობლემად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერის დაბერება, თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაბერებას პრობლემად არ განიხილავს. მათი შეფასებით, მოსახლეობის დაბერება არის შეუქცევადი გლობალური პროცესი და ერთგვარი გამოწვევა XXI საუკუნის საზოგადოებისათვის, ის მიიჩნევა „პრივილეგიად და საზოგადოებრივ მიღწევად“ და მოითხოვს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივ მუშაობას მათი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში.[124] მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანში შესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდას. დაბერება არის 2 სახის: დაბერება „ქვემოდან“ - როდესაც დაბერების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს შობადობის კლება; დაბერება „ზემოდან - როდესაც მოსახლეობაში მატულობს ხანდაზმულთა წილი.[125] სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აზერბაიჯანის მოსახლეობა არ არის დაბერებული და ყველაზე „ახალგაზრდაა“, საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე სომხეთში, თუმცა, ბოლო პერიოდისათვის საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა საკმაოდ დაბერებულია.

დემოგრაფების შეფასებით, მოსახლეობის დაბერების პროცესი გაგრძელდება, რაც გამოიწვევს შრომით ბაზარზე ხანდაზმულთა წილის ზრდას, ეს კი სეიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას.[126] ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დაბერების დინამიკა საქართველოში. დემოგრაფი გია მელაძის კვლევებით, ბოლო

[123] (წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, გვ. 34).

[124] (International Federation on Ageing).

[125] (შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999)

[126] (წულაძე, მაღლაფერიძე, & სულაბერიძე, 2007).

ერთი საუკუნის მანძილზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში განუწყვეტლივ იზრდებოდა. შესაბამისად, იზრდებოდა მოხუცებულთა რიცხვი შრომისუნარიან მოსახლეობასთან მიმართებაში. მე-19 საუკუნის ბოლოს 1000 შრომისუნარიან მოქალაქეზე მოდიოდა 136 მოხუცი, მე-20 საუკუნის შუა ხანებში - 184, ხოლო 2014 წელს - 304 მოხუცი. მომავალში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდის შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება ეს მაჩვენებელი და, შესაბამისად, გაიზრდება მოხუცთა შენახვაზე გაწეული ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ეკონომიკას

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგივე მე-19 საუკუნის ბოლოს ბავშვების რაოდენობა 703 ათასით ჭარბობდა მოხუცების რაოდენობას, მე-20-ე საუკუნის შუა ხანებში - 741 ათასით, ხოლო 2014 წელს უკვე მოხუცების რაოდენობა ჭარბობს ბავშვების რაოდენობას 100 000 კაცით. [127]

ერის დაბერების მაჩვენებლის ზრდა - ეს არის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, რაც ძალიან კარგია და სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება ხალხზე, უპირველესად, მის ჯანმრთელობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დაბერების კოეფიციენტის ზრდას, აუცილებლად უნდა მოყვეს შობადობის ზრდა.

ქართველი დემოგრაფები აღნიშნავენ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უკვე მიმდინარეობს შობადობის დონის შემცირება. ამის ძირითად მიზეზად კი რეპროდუქციულ განწყობაში მომხდარ ცვლილებებს ასახელებენ, ანუ თანამედროვე საზოგადოება ორიენტიებულია მცირეშვილიან ოჯახებზე.[128]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვისას მნიშვნელოვანი კომპონენტებია მოკვდაობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა ბოლო პერიოდში. მოკვდაობა ერთ-ერთი ის ძირითადი კომპონენტია, რომელიც შობადობასთან ურთიერთქმედების შედეგად განსაზღვრავს მოსახლეობის აღწარმოებას. მოკვდაობის დონეს სხვადასხვა კოეფიციენტებისა და ინდექსების საფუძველზე ახასიათებენ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 1990-იანი წლების დასაწყისში მოკვდაობის ზოგადო კოეფიციენტი გაიზარდა, რაც დაკავშირებული იყო რეგიონში მიდინარე კონფლიქტებთან, საქართველოში აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, სომხეთსა და აზერბაიჯანში კი მთიანი ყარაბაღის მოვლენები. 2000-იანი წლებიდან მოკვდაობის მაჩვენებელმა შედარებით იკლო. საქართველოში მოკვდაობის მაჩვენებელი

[127] (მელაძე, გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, 2007 (1).
[128] (წულაძე, მაღლაფერიძე, & სულაბერიძე, 2007 , p. 86)

საგრძნობლად შემცირდა ბოლო 6 წლის მანძილზე, განსაკუთრებით 1 წლამდე ასაკის ბავშვებში. ეს უმთავრესად გამოწვეულია 2014 წლიდან ქვეყანაში ამოქმედებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.

თუ მსოფლიოს დემოგრაფიულ ისტორიას გადავხედავთ, თითქმის ყველა ქვეყნისათვის მოკვდაობის მაღალი დონე დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნემდე, განსაკუთრებით მაღალი იყო ჩვილთა მოკვდაობა, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას არ აღემატებოდა 25 წელს მომდევნო პერიოდში, ინდუსტრიულმა რევოლუციამ და ეკონომიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც თავის მხრივ მოჰყვა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 1950 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის.

2010 წელს, მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ საქართველოში შეადგინა 70.0 წელი, სომხეთში - 70.2 წელი, ხოლო აზერბაიჯანში დაფიქსირდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 71.0 წელი. ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ლიდერობს საქართველო, სადაც ამ მაჩვენებელმა, 2010 წელს შეადგენდა 78.7 წელი, სომხეთში – 76.7 წელს, ხოლო აზერბაიჯანში არ აღემატება 76.2 წელს .[129]

რაც შეეხება ბუნებრივ მატებას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დადებითია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ანუ ამ ქვეყნებში დაბადებულთა რიცხოვნობა ჭარბობს გარდაცვლილთა რიცხოვნობას. თუმცა დღეს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდება და შეიძლება აიხსნას დემოგრაფიული გადასვლის თეორიით. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა დგას მაღალი შობადობის და მოკვდაობის დონიდან დაბალზე გადასვლის ფაქტის წინაშე. აღნიშნული პროცესი განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო მე-18 საუკუნეში და დღემდე გრძელდება, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, პროცესი დაიწყო მოგვიანებით და ჯერ კიდევ იმყოფებიან მოდელის საწყის ეტაპზე.[130]

ანზორ თოთაძის კვლევების მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება არსებითად ჩამორჩება სომხებისა და აზერბაიჯანლების დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლებს. საქართველოშიც კი ქართველების ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება

[129] (წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, გვ. 72).

[130] (წულაძე, მაღლაფერიძე, & სულაბერიძე, 2007 , გვ. 20-25).

ქვეყანაში ქართველების შემდეგ სხვა, მაგალითად, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების წარმომადგენელთა - აზერბაიჯანელთა ბუნებრივ მატებას. მეცნიერს მაგალითისთვის მოჰყავს 2003 წელს ქართველი დემოგრაფების მიერ გაანგარიშებული მონაცემები ეროვნული ნიშნის მიხედვით ბუნებრივი მატების შესახებ. კერძოდ, 2003 წელს საქართველოში აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატების დონე 109-ჯერ აღემატებოდა ქართველების ბუნებრივი მატების ანალოგიურ მაჩვენებელს. [131] საბოლოოდ ისმის კითხვა, როგორი იქნება სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის განვითარების ტენდენციები 2050 წლისთვის? ამ საკითხზე დღეს ბევრი მეცნიერი მუშაობს და დებს დასკვნებს. მოსახლეობის განვითარების ძირითად ხაზს გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევები გვიჩვენებს, რის მიხედვითაც მსოფლიოს მოსახლეობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და გარკვეულ მომენტამდე მოსახლეობა მიაღწევს თავის მაქსიმუმს, შემდეგ დაიწყებს კლებას და შემდეგ ისევ გაიზრდება. აღნიშნული მოდელი (მოსახლეობის ზრდა, კლება და შემდეგ ისევ ზრდა) განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და გავლენას იქონიებს ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებზეც.

გაეროს ექსპერტების მიერ გაკეთებული პროგნოზით, 2050 წელს მსოფლიოს მოსახლეობა იქნება 8.92 მილიარდი, თუმცა შეფასებები განსხვავდება ვარიანტების მიხედვით: „მაღალი შეფასებით“ 10.6 მილიარდი, ხოლო „დაბალი ვარიანტით“ - 7.4 მილიარდი. აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რამდენს შეადგენს მსოფლიოს ან ცალკეული ქვეყნის მოსახლეობა 100, 200 ან 300 წლის შემდეგ, აღნიშნული არის უფრო „დაშვება“, ვიდრე რეალობა, თუმცა მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ზოგადი ტრენდის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ძირითადად დამოკიდებულია თვითონ ცალკეული ექსპერტის ჰიპოთეზებზე - შობადობის, მოკვდაობისა და გარე მიგრაციის დონის შესახებ[132]

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის განვითარების დინამიკას, გაეროს მოსახლეობის ფონდმა 2010 წელს გამოაქვეყნა კვლევა, მასზე დაყრდნობით, დემოგრაფი ანზორ თოთაძე წერს: - „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 1 170 ათასი კაცით შემცირდება და 3 300 000 იქნება, სომხეთის მოსახლეობაც მცირედით მოიმატებს და 3 300 ათასი კაცი იქნება, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზრდება. ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ

[131] (თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013, გვ.21,22)

[132] (წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, გვ. 10).

მოსახლეობაში 18,7-18,7 პროცენტი გახდება, ხოლო აზერბაიჯანისა - 62,6 პროცენტი. სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით, ქართველების შემცირების ხარჯზე“.[133]

ამ კვლევის შემდეგ, საქართველოში, 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რამაც აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა იმაზე უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე გაეროს 2010 წლის კვლევებშია მითითებული. თუკი 2050 წლამდე მოვლენები ასე განვითარდება, მაშინ დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო საგრძნობი იქნება, რაც აისახება რეგიონის პოლიტიკაზე. მოსახლეობის განვითარების ასეთი დინამიკა მიუთითებს, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიაში კარგავს დომინანტი სახელმწიფოს როლს, რაც მას ისტორიულად ჰქონდა და აბალანსებდა რეგიონის „ცხელ“ პოლიტიკას.

საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც 2050 წლისთვის ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პრინციპებს ასახავს. 2014 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობა ახორციელებს დემოგრაფიულ პოლიტიკას, თუმცა, ისეთი მძიმე დემოგრაფიული პრობლემების ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს მცირედია და საჭიროა კიდევ უფრო ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა ყველა „ახალგაზრდაა“ სამხრეთ კავკასიაში და სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება, სახელმწიფო მაინც ახორციელებს ძლიერ დემოგრაფიულ პოლიტიკას, შემუშავებული აქვთ ინიციატივები თითქმის ყველა მიმართულებით. რაც შეეხება სომხეთს, იქ დემოგრაფიული პოლიტიკა ასეთ სიმაღლეზე არ არის აყვანილი და შესაბამისად, არც დემოგრაფიული ინიციატივებია იმდენად დატვირთული.

კავკასიის პოლიტიკას მსოფლიო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მისი ხიბლი სწორედ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით შექმნილი კავკასიური ცივილიზაციაა. თუკი ამ ცივილიზაციის შემქნელი თუნდაც ერთი ქვეყანა ისტორიას წარსულში დარჩება, კავკასიური პოლიტიკა აუცილებლად შეიცვლება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ სამი ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის სამომავლო პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. დემოგრაფიული სტატისტიკა . თბილისი, 1955.

[133] (თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013, გვ.13)

2. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, 1996 (1).
3. თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013
4. თოთაძე ა. კავკასიის მოსახლეობა. თბილისი, 1998
5. ლორთქიფანიძე ვ. დემოლოგია, თბილისი 2018
6. მელაძე გ., წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები.
7. მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, 2007
8. სულაბერიძე ა. ამიერკავკასიისა და საქართველოს დემოგრაფიული განვითარება.
9. შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999.
10. წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017
11. წულაძე გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი: UNFPAGeorgia, 2000.
12. Duthé, Badurashvili, Kuyumiyan, Meslé, & Vallin, 2010
13. Duthé, Meslé, Vallin, Badurashvili, & Kuyumjyan, 2012); (Meslé, Vallin, & Badurashvili, A sharp increase in sex ratio at birth in the Caucasus. Why? How?, 2007).